მიქელანჯელო თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში

(ნაწილი I)

(გზამკვლევი)

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

საფეხური: საბაზო

რესურსის მიზანი: ინტერპრეტაციის უნარის განვითარება

სავალდებულო თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია ინტერპრეტაციის (ჰერმენევტიკული) სწავლების მეთოდი.

მოსალოდნელი შედეგი: ხელოვანის განსხვავებული რაკურსით აღქმა, შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარება.

რესურსი დაფუძნებულია თანამედროვე ფრანგი მწერლის, მატიას ენარის ნოველაზე, "ესაუბრე ბრძოლებზე, მეფეებზე და სპილოებზე". ნოველაში ინტერპრეტირებულია სულთან ბაიაზიდ II-ის მიერ მიქელანჯელოს სტამბოლში მიწვევის ამბავი. ისტორიული წყაროს თანახმად, მოქანდაკემ მიწვევა მიიღო, მაგრამ მიქელანჯელოს თანხმობისა და ოსმალეთის იმპერიაში მოგზაურობის შესახებ ცნობები დადასტურებული არ არის.

რესურსის გამოყენებისას მასწავლებლის მიზანია, ტექსტზე დაყრდნობითა და შემოთავაზებული აქტივობით მოსწავლეებს ხელოვანის, როგორც პერსონის/ინდივიდის, განსხვავებული რაკურსით აღქმაში დაეხმაროს და შემოქმედებითი აზროვნების უნარი განუვითაროს.

ნაბიჯი 1

თავდაპირველად საჭიროა, მასწავლებელმა საკითხავ მასალაში განთავსებული ტექსტი ამობეჭდოს და ყველა მოსწავლეს დაურიგოს. გაკვეთილის დაწყებისას მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ გაკვეთილის მიზანს ხელოვანის, როგორც პერსონის. განსხვავებული კუთხით აღქმა წარმოადგენს. ამის მაგალითად კი მოსწავლეებს მიქელანჯელოს შესახებ ფრანგი მწერლის, მატიას ენარის ტექსტს სთავაზობს.

ნაბიჯი 2

ტექსტის გაცნობამდე საჭიროა, მასწავლებელმა მოსწავლეებს მიქელანჯელოს შემოქმედების შესახებ განვლილი მასალა გაახსენოს, რითაც წინარე ცოდნა გააქტიურდება. მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გაიხსენონ და კიდევ ერთხელ გაიაზრონ მიქელანჯელოს მხატვრული და ისტორიული როლი. შემდეგ დაასახელონ მათთვის ცნობილი მიქელანჯელოს ნამუშევრები და ისაუბრონ იდეასა და მხატვრულ - გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებზე. ამის შემდეგ მასწავლებელი პრეზენტაციის დახმარებით მოსწავლეებს მიქელანჯელოს ჩანახატებსა და ხელნაწერებს ათვალიერებინებს. მიქელანჯელოს ესკიზები და ხელნაწერი მემკვიდრეობა დაცულია როგორც ბრიტანეთის, ისე ფლორენციის მუზეუმ - “Casa Buonarroti-ში”.

ნაბიჯი 3

პრეზენტაციის დათვალიერებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ საჭიროა, მასწავლებელმა მოსწავლეებს რამდენიმე წუთი ტექსტის წასაკითხად მისცეს. საკითხავი მასალის გაცნობის შემდეგ საკვანძო კითხვების დასმით მასწავლებელი მოსწავლეებს ტექსტის გააზრებაში უნდა დაეხმაროს.

საკვანძო კითხვები შესაძლებელია იყოს ასე ფორმულირებული: როგორ დაახასიათებდით ხელოვანს, რას გვეუბნება ჩანაწერები მიქელანჯელოს პიროვნების შესახებ? როგორ წარმოგიდგენიათ, როგორი უბის წიგნაკი შეიძლებოდა ჰქონოდა ხელოვნების ისტორიაში ისეთ გამორჩეულ ფიგურას, როგორიც მიქელანჯელოა? როგორ ფიქრობთ, მიქელანჯელოს, მატერიალური თვალსაზრისით, რა შესაძლებლობა ჰქონდა? ტექსტიდან გამომდინარე რომელი ნივთების გარეშეა წარმოუდგენელი მოქანდაკის ცხოვრება/პროფესია? როგორ ცვლის მოცემული ტექსტი მიქელანჯელოს შესახებ თქვენს წარმოდგენას?

ნაბიჯი 4

ტექსტის გააზრებისა და კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს მომდევნო აქტივობას სთავაზობს. მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, დაასახელონ მათთვის საინტერესო ხელოვანი და ნამუშევარი, რომელმაც მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა. ამის შემდეგ რამდენიმე წუთი ხელოვანსა და ნამუშევარზე საუბარს ეთმობა. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, მოსწავლეებმა ყურადღება ხელოვანის მხატვრულ ან ისტორიულ როლზე გაამახვილონ.

ნაბიჯი 5

საუბრისა და შთაბეჭდილების გაზიარების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მწერლის, მატიას ენარის, მსგავსად ფანტაზიას მოუხმონ და მოიგონონ მოგზაურობის ისტორია მათ მიერ დასახელებულ ხელოვანზე. მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, რომელი ქვეყანა, ქალაქი, სოფელი ან თუნდაც დაუსახლებელი კუნძული აღმოჩნდებოდა მათი ამბისთვის მნიშვნელოვანი. ხელოვანს მიქელანჯელოს მსგავსად უნდა ჰქონდეს დღიური, რომელშიც ჩაინიშნავს შთაბეჭდილებებს, სასიხარულო და სევდისმომგვრელ ამბებს, საინტერესო მოვლენებს, ფაქტებსა და ყოფითი ცხოვრების ამსახველ დეტალებს.

დავალების დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს ასევე უნდა შეახსენოს, რომ ხელოვანის შესახებ მათ მიერ შეთხზულ ისტორიაში დოკუმენტური ხასიათის ფაქტებიც შეიტანონ. იმისთვის, რომ დღიურში დოკუმენტური მასალაც აისახოს, აუცილებელია, ხელოვანი მხოლოდ და მხოლოდ თავისი ეპოქის/დროის კონტექსტში “მოგზაურობდეს”. გასათვალისწინებელია, რომ დღიურის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი კვირის მოგზაურობის ისტორიას.

ნაბიჯი 6

 დღიურის ფორმისა და შინაარსის განსაზღვრა მთლიანად მოსწავლეებზეა დამოკიდებული. ვის აირჩევს მოსწავლე, მისი გადასაწყვეტია. თუ ხელოვანი ადრინდელი ეპოქისაა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მოსწავლეს დროის რეკონსტრუქციაში დაეხმაროს. ამ შემთხვევაში, დღიური ხელნაწერი წიგნის პრინციპით უნდა იყოს შექმნილი. ხელნაწერი წიგნი გულისხმობს მუყაოსგან შექმნილ ყდას, დაძველების ეფექტით მიღებულ ფურცლებს, ტექსტის თავსართებითა და ბოლოსართებით გაფორმებას, ჩანაწერებთან ერთად გაკეთებულ სხვადასხვა შინაარსის მინაწერს, მინიატიურებს, ჩანახატებს, ორნამენტებს და ა.შ.

დღიურის შესაქმნელად იხილეთ დამხმარე ვიდეოები:

https://www.youtube.com/watch?v=m_sRmerClv0

https://www.youtube.com/watch?v=1hurCwd8WcY

https://www.youtube.com/watch?v=6pzMJ4jiUgE

ნაბიჯი 7

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე დავალების შესრულების დროს თანამედროვე ხელოვანს აირჩევს, მაშინ ყურადღება უნდა გამახვილდეს არსებულ ყოფაზე, პრობლემებსა და მიმდინარე მოვლენებზე. სურვილისამებრ, მოსწავლეების დღიურს შეიძლება ჰქონდეს ციფრული ან მატერიალური ფორმა. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ, ფერადი ფურცლების გამოყენებით შექმნან და გააფორმონ დღიური.

დღიურის შესაქმნელად იხილეთ დამხმარე ვიდეოები:

https://www.youtube.com/watch?v=yqZVKcnJfGU

https://www.youtube.com/watch?v=tk74djFLG1U

ციფრული დღიურის შესაქმნელად გამოიყენეთ Microsoft Teams-ის პლატფორმა.

დღიურის შესაქმნელად იხილეთ დამხმარე ვიდეო:

https://www.youtube.com/watch?v=oynrRfS2cCM

ნაბიჯი 8

დღიურების შექმნის შემდეგ საჭიროა მათი წარდგენა. დავალების წარდგენის დღეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა კლასში მეგობრული ატმოსფეროს შექმნაზე იზრუნოს. პოზიტიური გარემო საჭიროა იმისთვის, რომ დავალების წარდგენისას მოსწავლეებმა შეძლონ თავისუფლად საუბარი/მსჯელობა/ემოციების გაზიარება მათ მიერ აღწერილი ამბების მოტივებსა და მნიშვნელობაზე.

შენიშვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ტექსტში (საკითხავ მასალაში) ნახსენები სიტყვები მოსწავლეებისთვის უცნობი აღმოჩნდება, მასწავლებელს შეუძლია მოცემული ლექსიკონის[1] გამოყენებით სიტყვების მნიშვნელობა განმარტოს.

ლექსიკონი:

კლივერი - იალქნის დასამაგრებლად საჭირო გორგოლაჭი.

გვარლი - ბუნებრივი და ხელოვნური ბოჭკოსგან დამზადებული ბაგირების საერთო დასახელება.

კაბესტანი - საგემბანო მექანიზმი სიმძიმეების ასაწევად და ბაგირების ხელით მოსაჭიმად.

კილი - ერთგვარი კოჭი, გემის კორპუსის კონსტრუქციული ელემენტი.

ტრაპი - სხვადასხვა ტიპისა და კონსტრუქციის კიბე გემზე.

კიჩო - გემის უკანა დაბოლოება

ძენძი - მორღვეული ქსოვილი

აბედი - სოკოს სახეობა. აბედის სოკოს იყენებენ ცეცხლის დასანთებად. აბედის სოკოს კარგად გამოხარშავენ, მზეზე გააშრობენ და შემდეგ წვრილ ნაჭრებად დაანაკუწებენ. ცეცხლის დანთებისას აბედის ნაკუწს მჭიდროდ დაადებენ ფოლადის ნაჭერს - კვესს და ჩამოჰკრავენ ტალს, მაგარი ქანის შედგენილობის ქვას. რკინის ქვაზე გაკვრისას გაყრილი ნაპერწკლები აბედს შეეყრება და რამდენიმე ასეთი გაკვრის შემდეგ წაეკიდება უალო ცეცხლი, რომელიც საკმარისია დიდი ცეცხლის ასანთებად.

გრიფელი - თიხიანი ფიქლის რბილი ჩხირი სპეციალურ (ასპიდის) დაფაზე საწერად.

სანგინი - მუქი წითელი რბილი ფანქარი

[1] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php